საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლავრენტი მაღლაკელიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ლავრენტი მაღლაკელიძეც. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს; უშუალოდ ლავრენტი მაღლაკელიძის საჯარო მოსმენა გაიმართა 2020 წლის 25 დეკემბერს, სადაც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა

მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან ლავრენტი მაღლაკელიძე მოქმედი მოსამართლეა, მისი შეფასება განვახორციელე ორგანული 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას; ამდენად, დასკვნა ,,სრულად აკმაყოფილებს" უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანდიდატი მახასიათებლისათვის კანონით განსაზღვრული ყველა კომპონენტის მიხედვით დადებითად ფასდება; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდება უარყოფითი, უნდა ჩაითვალოს, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

2.1.1. ლავრენტი მაღლაკელიძე 40 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ (2013წ), ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია (2012წ)). სპეციალობით მუშაობს 15 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ თითქმის 5 წელი, კერძოდ:

2016 წლის 25 ივლისიდან განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში 3 წლის ვადით; ხოლო 2019 წლის 25 ივლისიდან განწესდა იმავე თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2.1.2. რეკომენდატორები უთითებენ რომ, კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი; აქვს სამართლებრივი დასაბუთების მაღალი დონე. გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: კეთილსინდისიერებას, ეთიკურობის მაღალ სტანდარტს, სიმშვიდეს, პროფესიონალიზმს, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას; ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ მის მიერ მიღებული რამოდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა და ისწავლება, გაირჩევა როგორც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ისე განიხილება აკადემიურ კონფერენციებზე. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ (ნაკლოვანებად) უთითებენ ოდნავ მოჭარბებულ თვითკრიტიკას.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად

აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. ლავრენტი მაღლაკელიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში:

- სამეცნიერო მივლინება-ფრიდრიხ შილერის სახელობის იენი სუნივერსიტეტში;
- თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხების განხილვა-თსუ.
- ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა პირველი პროფესიული შეხვედრა თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია).
- შეხვედრა ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის საქართველოში - თსუ;
- თანამედროვე სისხლის სასამართლოს დოგმატიკის საკითხები - თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია).
- საერთაშორისო კონფერენცია - თანამედროვე სისხლის სამართლის იუსტიციის პრობლემები თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, ქ. ბერლინი ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია).
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათ შორის, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- გერმანული სასწავლო სისტემის მოწყობა და მუშაობის წესი - სტაჟირება გერმანიაში, ბონში.
- ტრენინგი თემაზე სწავლების მეთოდოლოგია - USAID.

2.1.5. ლავრენტი მაღლაკელიძე ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2007 წლიდან იყო ასისტენტ-პროფესორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ); 2019 წლის 1 ივლისიდან არჩეულია იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.
- 2007 წლის სექტემბრიდან 2008 წლის მაისამდე იყო ქართულ/ამერიკულ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული პროფესორი.
- 2008 წლის იანვარ-ივლისში იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოწვეული პროფესორი.
- 2013 წლიდან არის ასოცირებული პროფესორი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში.
- 2014 წლის მაისიდან 2015 წლის ივლისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სრული პროფესორი.

2.1.6. ლავრენტი მაღლაკელიძე არის სამართლის სახელმძღვანელოებს/სტატების ავტორი/თანაავტორი, კერძოდ:

- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შინაარსი და თავისებურებები" (სტატია).
- გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით (სტატია).

ხელმოწერა:

- ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (სტატია).

- ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. (სტატია).

- არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით (სტატია).

- შეცდომა ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლელობის უმართლობასთან მიმართებით), სტატია.

- ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში (სტატია).

- განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი (მონოგრაფია).

- განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში (სტატია).

- სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, ავტორი: პროფ. მერაბ ტურავა (სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი).

- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, ავტორი: პროფ. ირაკლი დვალიძე. (სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი).

- სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული (კრებულის სამეცნიერო რედაქტორი).

- ევროპული სისხლის სამართალი, სახელმძღვანელოს თანაავტორი.

- მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს; სტატიის ავტორი.

- სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის - სტატიის ავტორი.

- დანაშაულის სისტემა საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით; სტატიის ავტორი.

2.1.7. ლავრენტი მაღლაკელიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი (171 კვ.მ.) და მიწის ნაკვეთი (600კვ.მ) მცხეთის მუნიციპალიტეტში; აგრეთვე - ბინა (40კვ.მ.) ქ.თბილისში; - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.8. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ლავრენტი მაღლაკელიძეს რაიმე სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

კანდიდატი რაიმე საქმეში მხარედ/დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.9. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი 2 განაჩენი და 4 სამართლებრივი დოკუმენტი: 1) რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე: „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით); 2)

ხელმოწერა:

დასკვნა დოქტორანტის კოლოქვიუმის თემაზე: ,,გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები"; 3) „ნასამართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს", 2020წ.; 4) „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე", 2019წ.

მათი შესწავლით დავადგინე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

2.1.10. კანდიდატის, როგორც მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ: 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ლავრენტი მაღლაკელიძემ საქმეთა 100% განიხილა საპროცესო ვადების დაცვით; გადაწყვეტილებები ვადის დაცვით მომზადა საქმეთა 100%-ზე; მისი გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი საქმეთა 98.5%-ში. საანგარიშო პერიოდში (1010 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 645 საქმე, დღეში საშუალოდ 0.6 საქმე.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია*:

2.2.1. ლარენტი მაღლაკელიძის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=rXewmvphug4). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. კანდიდატის პასუხები, ძირითადად, თანმიმდევრულ, დასაბუთებულ და სწორ სამართლებრივ შეფასებებს ეყრდნობოდა; თუმცა, იყო შეცდომები და ხარვეზები პასუხების დაახლოებით 10% შემთხვევაში (მაგ: კანდიდატმა ვერ აღწერა საქართველოში განხორციელებული სასამართლო (საკანონმდებლო) რეფორმის შედეგები და ა.შ.).

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. ლავრენტი მაღლაკელიძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ზეგავლენის მიმართ მედეგობის უნარები.

ხელმოწერა:

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.1.3. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, არის თავდაჭერილი; აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვენი, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ლავრენტი მაღლაკელიძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. ზემოთ, 2.2 პუნქტში აღწერილი შეცდომების, ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ძირითადად კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, ლავრენტი მაღლაკელიძე შევაფასე 18 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 90%).

ხელმოწერა:

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების კარგად დასაბუთების უნარი, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. თუმცა, მას არ გააჩნია მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 90%).

4.1.3. კანდიდატს, 2.1.9 პუნქტში აღწერილი ხარვეზების გათვალისწინებით, ძირითადად გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესაბამისად, ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით შეევაფასე 16 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის სათანადო უნარები.

შესაბამისად, ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით შეევაფასე 15 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.5. კანდიდატი პუნქტუალურია, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს; გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი; აქვს კარგი მენეჯერული უნარები: სტრესულ სიტუაციებს უმკლავდება სათანადოდ, მიზანდასახულია, პროდუქტიულია და მოქმედებს სწრაფად, რაც მას ეხმარება საპროცესო ვადების ზედმიწევნით დაცვაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში" - მიხედვით უნდა შეფასდეს მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში,

შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ კანდიდატი აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო ხასიათის საქმიანობას ახორციელებს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ლავრენტი მაღლაკელიძეს ვანიჭებ 92 ქულას.

ხელმოწერა: